



ახალი ტანთლეტა

2013 წელი, 2 - 15 მაისი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№18 (612) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



IYIPO – ნორჩ გამომგონებელთა ფორუმი

განსხვავებული განწყობა, არაორღინარული იდეები

გვერდი 4-5

იდეის ტოვები

მსოფლიო ლიტერატურის ქანისკოსები



ალბერტო მორავა
მოწყვნილობა



ჯიმიზ ფ. კუპერი
ჯაშუში



გილბერტ კ. ჩესტერტონი
ურე ქიხოსტის ღაჩუნება

სიასტა! მიმდინარეობს ხელმოწერა!

მოვემზადოთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის



მოვემზადოთ გამოსაშვები გამოცდებისთვის

მეცნიერება



8 ლარი



4 ლარი



4,5 ლარი



12 ლარი



5,5 ლარი



7,5 ლარი



6,5 ლარი



წიგნი I – **კველი ქართული მწერლობა;**
წიგნი II – **„ვეფხისტყაოსანი“;**
წიგნი III – **XIX საუკუნის მწერლობა.**

ავტორები:
თამარ გალიტაშვილი,
ამირან გომარეთელი

თითოეული კრებულის ფასი – **10** ლარი

- ◆ კრებულებში ნახვით თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდო მათვალისწინებულ ნაწარმოებშია;
- ◆ მათი მეშვეობით გაგიაღვიწვებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
- ◆ სწორი პასუხების შემთხვევის შემთხვევაში თქვენ გაქვებთ ნაწარმოებთან იდეურ-მხატვრული ანალიზი;
- ◆ თქვენ შექვებთ დაქლიოთ ყველა საგამოცდო სირთულა.



ინფორმაცია

2013-2014 სასწავლო წლისთვის საჯარო სკოლებში პირველკლასელთა რეგისტრაცია

პირველკლასელთა რეგისტრაციის მეორე ეტაპი 1 მაისს 09:00 საათიდან დაიწყო და 20 ივნისის ჩათვლით გასტანს. რეგისტრაცია ბავშვის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა ვებგვერდებზე: www.mes.gov.ge, www.registration.emis.ge უნდა გაიაროს, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტები 2013 წლის 21 ივნისიდან 2013 წლის 3 ივლისის ჩათვლით უნდა წარადგინოს.

რეგისტრაციის მესამე ეტაპის ვადა განსაზღვრულია 2013 წლის 10 ივლისიდან 2013 წლის 18 ივლისის ჩათვლით. რეგისტრაცია განხორციელდება იმ გამოთავისუფლებულ ადგილებზე, სადაც მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელ საბუთებს განსაზღვრულ ვადებში არ წარადგენს.

რაც შეეხება გამოცდების ექსტრენად ჩაბარების წესს, მხოლოდ იმ მე-12 კლასელებს შეეხებათ, რომელთაც 2012-2013 სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

ამ კატეგორიის მოსწავლეებმა რეგისტრაცია, 2013 წლის 29 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით, შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრებში გაიარეს. ექსტრენის გამოცდები 2013 წლის 7 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით ჩატარდება.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად წარსადგინი აუცილებელი დოკუმენტების წუსხა:

1. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციასა და აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს;
2. დაბადების მოწმობის სანოტარო წესით დამონმებული ასლი, რომელიც მოსწავლის ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში ინახება დაწესებულებაში;
3. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ან მისი ტერიტორიული სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება საქართველოს მოქალაქეობის, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ან ბინადრობის მოწმობის მქონე მოსწავლისათვის პირადი ნომრის მინიჭება;

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის წარმოდგენისაგან თავისუფლდებიან საქართველოში საზღვარგარეთის დიპლომატიური მისიების, საკონსულო დაწესებულებების, მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური წარმომადგენლობებისა და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დაწესებულებების თანამშრომელთა შვილები (გარდა იმ თანამშრომლების შვილებისა, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირები);

5. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის წარმოდგენისაგან თავისუფლდებიან თავშესაფრის მძიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები.

განათლების ხელმისაწვდომობა



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიზნით, ერთობლივი პროგრამების განხორციელების შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი გიორგი მარგველაშვილმა და სოზარ სუბარმა.

მემორანდუმის მიზანია მსჯავრდებულთა ზოგადი და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, გათავისუფლების შემდეგ მათი სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციის, რეაბილიტაციისა და დასაქმების ხელშეწყობა. ამ მიზნით, მემორანდუმის ფარგლებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამა "ამოქმედდება, რომელიც ზოგადი და პროფესიული განათლების შესაბამის პროგრამებს განხორციელებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთან ერთად, მსჯავრდებულთა შესაბამის კლასებში, სასურველ პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვას, მათთვის შესაბამისი სასწავლო პროგრამის შერჩევას და ადეკვატური სასწავლო გარემოს შექმნას უზრუნველყოფს. მსჯავრდებულები უზრუნველყოფილი იქნებიან სასწავლო ინვენტარით, სახელმძღვანელოებითა და სწავლისათვის საჭირო სხვა მასალებით. გადამზადდებიან მსჯავრდებულებთან მომუშავე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგები.

"სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამის" გამჭვირვალობისა და დანაშაულის პრევენციის მიზნით, პროგრამის ფარგლებში, სამეურვეო საბჭო შეიქმნება, რომელიც დაკომპლექტებული იქნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლებისაგან. ჩამოყალიბდება მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ერთობლივი პროგრამების მიმდინარეობის მონიტორინგსა და კოორდინაციას.

მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციასთან მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა ლევან ქეჭურამ და საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ კა-

საბერ გუგუშაშვილმა, თბილისის 176-ე საჯარო სკოლაში, თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციასთან ერთობლივი პროექტი მოსწავლეთა ჯანსაღი ცხოვრების წესის უზრუნველყოფას, საქართველოს საჯარო სკოლებში მაგიდის ჩოგბურთის სწავლების წახალისებასა და დანერგვას ითვალისწინებს. სკოლებში მაგიდის ჩოგბურთის სწავლება მოსწავლეთა სპორტული მომზადების დონეს გააუმჯობესებს და ქართული მაგიდის ჩოგბურთის განვითარებასა და პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

მემორანდუმის საფუძველზე, თბილისის მასშტაბით, რამდენიმე ათეული საჯარო სკოლა შეირჩევა, სადაც მაგიდის ჩოგბურთის ფედერაცია სწავლებას განხორციელებს, სპორტის მასწავლებლებს გადაამზადებს და მაგიდის ჩოგბურთში სკოლებს შორის შეჯიბრებებს უზრუნველყოფს. ფედერაცია შერჩეულ სკოლებს შესაბამისი სპორტული ინვენტარით მოამარაგებს და მასწავლებლებს გადაამზადებს. მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისა და წახალისების მიზნით, საქართველოს საჯარო სკოლებში მაგიდის ჩოგბურთის ლიგა შეიქმნება და სკოლებს შორის ჩემპიონატები მოეწყობა.

176-ე საჯარო სკოლაში თბილისის სკოლებს შორის მეგობრული შეხვედრაც გაიმართა, მონაწილე სკოლებს თასები და სიგელები გადაეცათ.

განათლების მულტიმედია ცენტრში ონლაინ კონფერენცია გაიმართა

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, განათლების მულტიმედია ცენტრში, ონლაინ კონფერენცია გაიმართა, თემა - მოსწავლეთა სამოქალაქო მონაწილეობა და ახალგაზრდების როლი დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში.

კონფერენციის მიმდინარეობისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ალუდა გოგლიჩიძემ პასუხი გასცა როგორც აუდიტორიაში მყოფ თბილისის სასკოლო სამოქალაქო კლუბების წევრებს, ასევე SKYPE-ის მეშვეობით საქართველოს ყველა რეგიონიდან მიღებულ მოსწავლეთა შეკითხვებს. კონფერენციაში 120-მდე კლუბის წევრმა მიიღო მონაწილეობა.

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამას, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით, ამერიკული ორგანიზაცია PH International ახორციელებს. პროგრამის მიზანია, გააუმჯობესოს სამოქალაქო განათლების სასკოლო პროგრამის ხარისხი და დაეხმაროს ახალგაზრდებს ცოდნის ამაღლებაში, დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაში. პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება, საქართველოს ყველა რეგიონში მუშაობს და, ქვეყნის მასშტაბით, 740 სკოლასთან თანამშრომლობს. პროგრამის ფარგლებში შეიქმნა და სკოლებს უსასყიდლოდ გადაეცა სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო 4 სხვადასხვა კომპლექტი (სულ 115,440 სახელმძღვანელო).

აკრედიტებული ტრენინგკურსის ("დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება") მეშვეობით, გადამზადებულია სამოქალაქო განათლების 740-მდე პედაგოგი, შექმნილია სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი, რომელიც პედაგოგებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობას აძლევს. ქვეყნის მასშტაბით, 200-ზე მეტი სასკოლო სამოქალაქო კლუბი ფუნქციონირებს, სადაც მოსწავლეები სკოლისა და ადგილობრივი თემის საკეთილდღეოდ ახორციელებენ პროექტებს.

ვებპორტალის - www.initiatives.ge - მეშვეობით დაფინანსდა მოსწავლეთა და პედაგოგთა მიერ წარმოდგენილი 350 პროექტი; სემინარი სამოქალაქო განათლების მნიშვნელო-

ბის შესახებ გაიარა 700-მდე სკოლის დირექტორმა; 11 საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეცა სამოქალაქო განათლების სფეროში არსებული ლიტერატურა და პუბლიკაციები ბიბლიოთეკების დაფუძნების მიზნით; სოციალურ მედიაში ტრენინგი გაიარა 700-მდე მოსწავლემ; საზოგადოებრივი ბანაკებში - "მე აქტიური მოქალაქე ვარ" - მონაწილეობა მიიღო 440-მა მოსწავლემ და პედაგოგმა; ტარდება ტრენინგები დებატებისა და საჯარო გამოსვლებში; ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების ინტერაქტიული ვებგვერდი - www.civics.ge. პროგრამის ფარგლებში, წარმატებული სასკოლო სამოქალაქო კლუბები ჯილდოვდებიან საკლუბო ტექნიკის კომპლექტით.

პროგრამის შედეგების შუალედურმა კვლევამ გამოავლინა პროგრამის დადებითი ზეგავლენა ბენეფიციარებზე.

ათი ქართველი მოსწავლე, ერთი წლით, ღიდ ბრიტანეთში გაემგზავრა

დიდი ბრიტანეთის სკოლის დირექტორთა ასოციაციის HMC(Headmasters' and Headmistresses' conference) პროექტების ჯგუფმა, 2012 წლის ოქტომბერ-დეკემბერში, საქართველოში პირველი შესარჩევი კონკურსი ჩაატარა. კონკურსში გამარჯვებული ათი მოსწავლე და ერთი პედაგოგი, ბრიტანულ სკოლაში ერთწლიანი კურსის გასაუფლებლად, 2013 წლის მაისში, ღიდ ბრიტანეთში გაემგზავრებიან. გამარჯვებულ კანდიდატებს შესაბამისი სერტიფიკატები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა ლევან ქეჭურამ გადასცა.

HMC Projects წამყვანი დამოუკიდებელი საქველმოქმედო ორგანიზაციაა გაერთიანებულ სამეფოში, რომლის მთავარი მიზანია, საშუალება მისცეს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ცენტრალური და ალმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ისწავლონ, ასწავლონ და დაამყარონ კონტაქტები თავიანთ ბრიტანულ თანატოლებთან და კოლეგებთან, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესონ ინგლისური ენის ცოდნის დონე და აიმაღლონ კვალიფიკაცია. ამ დროისთვის, უკვე 1200-ზე მეტმა კანდიდატმა მიიღო 100%-იანი სტიპენდია ბრიტანულ სკოლებში ერთწლიანი კურსის გასაუფლებლად.

2012 წელს, HMC პროექტების ჯგუფმა თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა კომპანიასთან Unique Learning, რომელიც ამ ორგანიზაციის ერთადერთი წარმომადგენელია საქართველოში და მისი სახელით აწყობს გაცნობით შეხვედრებს, ორგანიზებას უწევს პროექტის განხორციელებას.

კომპანია Unique Learning არ მონაწილეობს სტიპენდიანტების შერჩევის პროცესში. გამარჯვებულ კანდიდატებს, ტესტირების, გასაუბრებისა და აკადემიური მოსწრების საფუძველზე, HMC -ის წარმომადგენლები არჩევენ.



თვალსაზრისი

რა უნდა აკეთონ განათლების მართვის შუალედურმა რბოლებმა

უკვე განხორციელებული თუ მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმა და მისი ავტორები რეფორმის მთავარ ვექტორად, სწავლა-სწავლეების ცენტრალურ ფიგურად მოსწავლეს განიხილავენ. რეფორმის ფარგლებში განხორციელებული უამრავი ღონისძიების მთავარ „სლოგანსაც“ სწორედ ამგვარი ხედვა წარმოადგენს. დღეს თანდათან საეჭვო ხდება, ამ მხრივ ჩატარებული ღონისძიებების რეალურობა და მიზანმიმართულობა. არსებითად საქმე ვერ გამოსწორდა, ვერ გაიზარდა მოსწავლის მოტივაცია და თუ დღევანდელი მდგომარეობა ათი წლის წინანდელს რაღაცით მაინც სჯობს, ეს უფრო უახლესი ტექნოლოგიების განვითარებისა და, აქედან გამომდინარე, ე.წ. თვითრეფორმის შედეგია, ვიდრე ტრენინგ-სემინარების ან რამდენჯერმე გადახალისებულო, მაგრამ მაინც ბევრჯერ იგნორირებული, საკანონმდებლო ბაზისა. შინაგანად სწავლა-განათლებისაკენ მიდრეკილება ისეთივე იშვიათი შემთხვევაა, როგორც საბჭოთა ეპოქაში იყო. უმთავრესად მოსწავლის მოტივაციას განაპირობებს არცთუ პრაგმატული მიზანი – გახდეს უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტუდენტი, მიიღოს დიპლომი და შემდგომ მაღალანაზღაურებადი სამსახური და ა. შ. სკოლის დამამთავრებელ ეტაპზე აბიტურიენტთა უმეტესი ნაწილი პრაქტიკულად წულიდან იწყებს მეცადინეობას საგნებში, რომელიც ჯერ სკოლის გამოსაშვებ, შემდეგ კი მისაღებ გამოცდებზე უნდა ჩააბაროს. არადა, ასეთ ადამიანებს განათლების მიღების სურვილი რომ ჰქონოდათ, უქმად არ დაკარგავდნენ ვასულ წლებს.

ცხადია, უახლოეს წარსულშიც არსებობდა და ახლაც არსებობს მოსწავლეთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელთაც ყოველგვარი გარემოტვიცის გარეშე სურთ განათლების მიღება. ისინი არიან, შეძლებისდაგვარად, წინგონი, ამ სიტყვის ფართო გაგებით: ეცნობიან ბეჭდურ პროდუქციასაც და ეუფლებიან ახალ ტექნოლოგიებსაც. ასეთი კატეგორია მუდმივად არსებობდა და თუ დღესაც ასეა, ეს ხსენებული ღონისძიებების შედეგს წამდგენს არა წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, სულ უშუაღვდოდ არა, მაგრამ ძირითადად კი ტყუილად გაიფლანგა დრო და ფინანსები უამრავი ტრენინგ-სემინარების ორგანიზებაზე, მასწავლებელთა სახლების გახსნაზე და ახლაც იგივე გრძელდება. ძირეული და

ხელშეახლები მიღწევები კი არ გვაქვს. არ ვისაუბრებ მასწავლებლის მოტივაციის უქონლობაზე, მათი წახალისების იგნორირებაზე და ფინანსურ პრობლემებზე... ამათთან ერთად, ვფიქრობ, მთავარი პრობლემა ისიცაა, რითაც საუბარი დავიწყებ და რაც, თითქოსდა, ამ დაუმთავრებელი რეფორმის ძირითადი მიზანია – სწავლა-სწავლების ცენტრში დგას მოსწავლე. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი სასკოლო საგანმანათლებლო სისტემის მუშაობა – მისი მართვა, დაფინანსება, ამ სისტემაში დასაქმებულთა პროფესიონალიზმი, მათი შრომის ღირსეული ანაზღაურება, მათი პროფესიონალიზმის ამაღლება და ა. შ. – უნდა იყოს ერთადერთი მიზნისკენ მიმართული – მიეცეთ ხარისხიანი განათლება ბავშვს და აღვზარდოთ იგი ღირსეულ ადამიანად. რამდენად მაღალ დონეზე, გამართულად მოქმედებს ჩამოთვლილი მექანიზმი, ეს სხვა საკითხია, თუმცა ისიც მნიშვნელოვანია, რომ ამდგომად განსაზღვრავს ამ საკითხს შესაბამისი კანონმდებლობა. მაგრამ, როგორც ითქვა, სწორედ აქაა პრობლემა: არავინ ეკითხება ბავშვს, რა სჭირდება მას. უფრო ახვეწილად რომ ვთქვათ, არავინ ეკვლევს და აანალიზებს მის საჭიროებებს.

ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ სახელმწიფო თავისი ინტერესის შესაბამისი საგანმანათლებლო პოლიტიკას ატარებს, თითქოსდა ბავშვი ამ სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენდეს.

როგორ უნდა განხორციელდეს მოსწავლეთა ინტერესების კვლევა?

რა თქმა უნდა, ყველა მოსწავლე ინდივიდუალურია და შეუძლებელია მხოლოდ ერთმა კონკრეტულმა უწყებამ (ამ შემთხვევაში შესაბამისმა სამინისტრომ) შეძლოს თითოეულის ინტერესის ღრმა ანალიზი. სწორედ აქ უნდა ჩართოს ის მექანიზმი, რომელსაც მართვის შუალედურ რგოლს ეძახიან. ვფიქრობ, დღევანდელი საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმატება დიდად იქნება დამოკიდებული ამ რგოლის სათანადოდ გამოყენებაზე და მსოფლიოში აპრობირებული ჩართულობის პრინციპის გამოყენებაზე.

როგორც ვიცით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ამ ეტაპზე, ახოციელებს დასახელებული რგოლის საკონკურსო წესით დაკომპლექტებას. აღსანიშნავია, რომ კონკურსის საწყისი ეტაპები უთუოდ გამოირჩეოდა ობიექტური-

ბით. მიუკერძოებლობის ბოლომდე შენარჩუნება ბევრად ნაადრევად სამინისტროსავე ძირითადი პოლიტიკის წარმატებით გატერებაში. ამავდროულად, სიფრთხილევანა საჭირო, რომ ამ რგოლში გაძრომა ან „რესტავრაცია“ ვერ შეძლონ ავტორიტეტულმა ან პოლიტიკური ნიშნით დევნილების ნილაბმორგებულმა ადამიანებმა.

რესურსცენტრებმა რადიკალურად უნდა შეცვალონ ძველებური მიდგომები და სკოლების დატერორების პოლიტიკა.

ფიქრობთ, რომ ამჟამინდელი პოლიტიკური სიტუაცია დაძაბულობის გარეშე მუშაობის საშუალებას იძლევა, ანუ განათლების სამინისტრო აღარ მიმართავს იმ ტერორსა და შანტაჟს, რაც წინა ხელისუფლების პირობებში იყო და ეს რესურსცენტრებმაც უნდა გაითვალისწინონ.

მართვა გუნდურ პრინციპს, თანამშრომლებისა და სასკოლო საზოგადოების აზრთა გაზიარება-გათვალისწინებას უნდა ეფუძნებოდეს. უნდა მიმდინარეობდეს ინფორმაციის უწყვეტი გაცვლა როგორც რესურსცენტრებს, ისე სასკოლო საზოგადოებას შორის. ინფორმაციის გაცვლისთვის, უპირველესად, ვგულისხმობ ინტერნეტზე დაყრდნობას, ონლაინკონფერენციებს. უნდა ტარდებოდეს ისეთი ტრენინგები, რომელთაც რეალურად ექნებათ კვალიფიკაციისა და მოტივაციის ასამაღლებელი რატიონალუზა და არა მოვალეობის მოხდის ფორმა, რასაც მრავლად ვხვდებით უკანასკნელ დრომდე. თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ მოვანკობთ რესურსცენტრების დღეს. ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს სტრატეგიული მართვის ინსტრუმენტები და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა-პრაქტიკის ინტეგრირებული მეთოდები.

რასაკვირელია, მართვა ვერ იქნება ცალსახად შეუქცევადი და გათვალისწინებული უნდა იყოს მსოფლიოსა და ქვეყანაში არსებული ცვალებადი რეალობა.

გამომდინარე იქიდან, რომ რესურსცენტრები მართვის შუალედურ რგოლს წარმოადგენს, ცხადია, ვერ იქნებიან „ავტონომიური“ და იქნებიან ვალდებულია ბავშვს აქცენტირებული, ანუ – განათლების სამინისტროს წარმომადგენლები ადგილზე. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს უსიტყვოდ კონტროლირებადი ბიუროკრატიული მოდელის არსებობას, როგორც, მაგალითად, დემიტრი შაქინის დროს.

ამ ორგანოს მართვა უნდა განიხილებოდეს როგორც დემოკრატიულ ქვეყნებშია მიღებული – მენეჯმენტი, სადაც ერთობლივად მოქმედებს ჩართულობაც და სამუშაოს შესრულებაც.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ჩართულობის კრიტერიუმი, რაც გულისხმობს მუდმივი დიალოგის რეჟიმს ხელმძღვანელ ორგანოს სხვა თანამშრომლებს შორის, რესურსცენტრსა და ზემდგომებს, ასევე რესურსცენტრსა და სასკოლო საზოგადოებას შორის. ამავდროულად, რესურსცენტრებმა გარკვეული ბუფერის როლიც უნდა იკისრონ ზემდგომებსა და სასკოლო საზოგადოებასთან მიმართებაში. სწორედ „ბუფერიზაცია“ დაგვანახებს იმ პრობლემის დახახვა-გადაწყვეტის ძირითად გზას, რომელზეც ამ ნერილში ვლაპარაკობ – ანუ: სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, პირადი შეხვედრები, სოციალური ქსელთა თუ სხვაგვარად კომუნიკაცია მოგვცემს საშუალებას, არ დავცილდეთ მოსწავლეთა ინტერესებს, მოლოდინებს.

ზემოსხენებული ცვალებადი გარემოს მოთხოვნათა გათვალისწინება, როგორც წესი, ხშირად აყენებს ხელმძღვანელს საკუთარი სურვილის საწინააღმდეგო სიტუაციაში, ანუ იმ მდგომარეობაში, რომელსაც რეალობასა და სურვილს შორის სხვაობა ეძახიან. სასკოლო საზოგადოების კვლევა და ანალიზი ამის დასახახადაც საუკეთესო საშუალება იქნება.

ცხადია, უნდა ტარდებოდეს არა მარტო კვლევა, არამედ რესურსცენტრის უფლებამოსილებიდან გამომდინარე უნდა გადაიჭრას კიდევ ზოგიერთი პრობლემა, ხოლო რაც ცენტრის უფლებამოსილების ფარგლებს გაცდებდა, ის სამინისტროსთან ერთობლივი თანამშრომლობით უნდა მოგვარდეს.

და რაც ყველაზე მთავარია, იქნებ, სწორედ საგანმანათლებლო სივრციდან დავიწყოთ თანამდებობისადმი ჰუმანური მიდგომა. ამ მხრივ თანამდებობის ეპოქის ერთ-ერთი მოსწავლეა სახარებისეული ხედვის რეალურად გაზიარებას გულისხმობს: თანამდებობის პირები მოვალენი არიან კი არ იმსახურონ ადამიანები, არამედ თავად ემსახურონ მათ.

დავით ფრაქი
ისტორიკოსი, პედაგოგი

კახინეტ-ლაზოკრატორიები – საბუნებისმეტყველო საბნების სწავლების გაუმჯობახსების უმნიშვნელოვანესი ელემენტი

გასული საუკუნის 70-80-90-იან წლებში, სკოლებში, 10-წლიანი სწავლების პირობებში, საბუნებისმეტყველო საბნები უფრო ღრმად და საფუძვლიანად ისწავლებოდა, ვიდრე დღეს. თითოეულ საგანს, სასწავლო-ტექნიკური ბაზის შესაბამისად, ეთმობოდა ორი-სამი ოთახი. მაგალითად, ბიოლოგიას – ერთი საგამოყენო, ერთი – საპრეპარატი და ერთიც – საგაკვეთილო-სადემონსტრაციო ოთახი.

არსებობს ძველი გამონათქვამი – მონღოლი მეომარი ცხენის გარეშე არარაობაა! მე არ ვიცი, ეს გამონათქვამი რამდენად ჭეშმარიტია, მაგრამ იმის თქმა კი დანამდვილებით შემიძლია, რომ სასწავლო-სადემონსტრაციო, ლაბორატორიულ-პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებელი ხელსაწყო-იარაღების გარეშე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სტანდარტებს საბუნებისმეტყველო საბნების სწავლებაში ვერც მიუვხახლოვდები.

არადა, იმ შორეულ წარსულშიც კი, სკოლები სახელმწიფო ბიუჯეტადან, ყოველწლიურად, ფინანსდებოდა 5000 მანეთით /6250\$, სწორედ აღნიშნული ხელსაწყობის შესაქენად და ეს ხდებოდა სრულიად გააზრებულად, სწავლების ეფექტურობის, ხარისხის ასამაღლებლად და შედეგებიც არ აყოვნებდა.

იყო ასეთი კარგი პრაქტიკაც – თუ სკოლა ვერ ან არ ათავსებდა გამოყოფილ თანხას, შესაძლებელი იყო იგი გადასცემოდა სხვა სკოლას, საჭიროებიდან გამომდინარე. სასწავლო-სადემონსტრაციო, სათვალსაწირო ხელსაწყობის მალაზიები ფუნქციონირებდა სოხუმში, ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში, რომლებიც მრავადდებოდნენ რუსეთიდან /სამსუხაროდ, საქართველოში არ არსებობდა შესაბამისი სახელსწრები/.

1989 წლიდან სკოლებს დაფინანსება შეუწყდა. ასევე, საქართველოს უახლოესი ისტორიის ქარტეხილებიდან გამომდინარე, წლები განმავლობაში, იქურდებოდა და იძარცვებოდა სასკოლო კაბინეტ-ლაბორატორიები. ამან კი, სხვა ფაქტორებთან ერთად, უარყოფითი გავლენა იქონია საბუნებისმეტყველო საბნების სწავლა-

სწავლებაზე. ზოგადად სასკოლო განათლების უკუსვლა დაიწყო 1987 წლიდან, როდესაც 10-წლიანი სწავლებიდან 11-წლიანი სასკოლო სწავლებაზე გადავიდნენ. ამას დაემატა გარეშე ფაქტორები – გაიხსნა უამრავი უმაღლესი სასწავლებელი. თუ ადრე საქართველოში სულ 18 უმაღლესი სასწავლებელი და ერთადერთი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო, 2000 წლისათვის, მარტო ზუგდიდში და სამეგრელოს რეგიონში, ფუნქციონირებდა 18 უმაღლესი სასწავლებელი, ორი აკადემია, ორი უნივერსიტეტი და კიდევ სხვა „წერილ-წერილ“ უმაღლესი სასწავლებლები. ბუნებრივია, ყველა უმაღლესი სასწავლებელი ცვილობდა მეტი კონტინგენტის მიზიდვას, უგამოცდოდაც კი ღებულობდნენ. ყოველივე ეს უარყოფითად აისახა სკოლებში სწავლის ხარისხზე. აუცილებელი გახდა განათლების სისტემის ძირეული რეფორმა.

განათლების რეფორმა დაიწყო 2000 წელს, ბატონი ალექსანდრე კარტოზიას მინისტრობის დროს. პირველი, რაც მან გააკეთა, იყო ის, რომ ერთპიროვნულად, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებლად, ხელი მოაწერა საქართველოში 12-წლიანი სასკოლო სწავლება. დღევანდელი გადასახედიდან, ეს დანამაულებრივი ქმედება იმდენად, რამდენადაც უარყოფითი შედეგები მოუტანა სკოლას, საზოგადოებას, ქვეყანას.

2004 წელს განათლებისა და მეცნიერების მინისტრად დაინიშნა პროფესიით სამთო ინჟინერი, ბატონი ალექსანდრე ლომაია, რომელმაც არაპროფესიონალისთვის დამახასიათებელი „ოსტატობით“ მიმართა „ჯადოქრულ ილეთებს“.

ილეთი 1: სასკოლო საბნები დაყო ორ ჯგუფად და უწოდა მეცნიერებები – ისტორია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ასეთი დაყოფა და სახელწოდებები იმდენად ფორმალური აღმოჩნდა, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში ზოგან სავანად მოიხსენიება, ზოგან კი – მეცნიერებებად.

ილეთი 2: ყველა მცირესაათიანი საგანი გააქრო სასწავლო საგანთა ნუსხიდან და მიაყოლა უქველესი საბუნებისმეტყველო საგანი – ასტრო-

ნომია /ამით გზა გაუხსნა ასტროლოგიას/.
 ილეთი 3: უქველეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – გეოგრაფიის პროფილი შეუქცვალა და „ისტორია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებათა“ დანამატად აქცია. არადა, გეოგრაფია იყო საგანი, სადაც გაკვეთილების დიდი ნილი ტარდებოდა ღია ცის ქვეშ, გეოგრაფიის მოედნებზე, სადაც მიმდინარეობდა ბუნების მოვლენებზე დაკვირვება /გეოგრაფიის, მეტეოროლოგიის, ასტრონომიის მიმართულებით/.
 ილეთი 4: ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია გააინტეგრირა და გაატრიმესტრა. გაინტეგრირებული და გაატრიმესტრებული საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა-სწავლების ხარისხი დაინტერესებულთათვის კარგადაა ცნობილი. აღნიშნული საგნები არც საფუძვლიანად, არც ღრმად და არც სრულყოფილად არ ისწავლება.
 ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საგნის სტანდარტი და პროგრამა დარჩა იგივე, რაც იყო 10-წლიანი სწავლების დროს. საათობრივი დატვირთვა 1,5-2-ჯერ შეამცირეს, სწავლის ხანგრძლივობა კი 2 წლით გაზარდეს. ზემოთ აღნიშნული სამი სიდიდე ერთმანეთთან შეუთავსებადი იყო. ამიტომაც, XI-XII კლასები საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გარეშე აღმოჩნდა. მიხვდნენ რა, მიღებული გადაწყვეტილების არაეფექტურობას, XI-XII კლასებში თავად მოსწავლეებს დაუტოვეს ერთ-ერთი საბუნებისმეტყველო საგნის არჩევის უფლება.
 აღნიშნული საგნების სწავლებისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ კატასტროფულად დაამცირა მათი სწავლა-სწავლების მნიშვნელობა, ხარისხი. მოგვიანებით, პრეზიდენტმა, საბუნებისმეტყველო საგნებით დაინტერესებისათვის, დაანესა პრემია, ჰპირდებოდა საჩუქრებს, ვინც სკოლაში წარმატებით ისწავლიდა ან უმაღლესში მისაღებ გამოცდებზე მაღალ ქულეს მიიღებდა, მაგრამ...

შედაგოგიური აკადემიის აკადემიკოსი კოლომოგოროვი ბრძანებდა: „ერთ-ერთი ძირითადი იდეა, რომელიც სკოლაში მტკიცედ უნდა ხორციელდებოდეს, ასეთია – მოსწავლეები

14-15 წლის ასაკში იძენენ გარკვეულ მეცნიერულ გემოვნებას, ჩვევებს. ჩვენ კი, ყოველმხრივ უნდა შევწყნოთ ხელი მათ განვითარებას“.

სამსუხაროდ, ქართველი მოსწავლეები, 14-15 წლის ასაკში, ამ მეცნიერებების /ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია/ მხოლოდ ანბანის გაცნობას იწყებენ. თუ ადრე ფიზიკისა და ქიმიის შესწავლა VI-VII კლასებში იწყებოდა, ამჯერად, ცნობილია, რომ აღნიშნული საგნების შესწავლა იწყება VIII-IX კლასებში. ამასთანავე, აღნიშნული საგნები არ ისწავლება XII კლასში.

საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა-სწავლებაზე მნიშვნელოვნად უარყოფითად იმოქმედა კაბინეტ-ლაბორატორიების განადგურებამ. იმან, რომ ათეული წლის განმავლობაში მინიმალური ყურადღებაც კი არ ექცეოდა მათ გამოყენებას, შეესებას და ა.შ. შემდგომში კი, თითქოს, აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად, ეროვნულ სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის საფუძველზე, სკოლებში გაჩნდა „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კაბინეტები“ გაუგებარია: 1. რა მეცნიერული კვლევები მიმდინარეობს სკოლების თითქმის ცარიელ, ი.წ. კაბინეტებში; 2. თუ საგაკვეთილო-სადემონსტრაციო – მით უფრო შეუძლებელი. მაშ, რაღა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კაბინეტია? საბუნებისმეტყველო საგნების მაღალ დონეზე სწავლა-სწავლებაში პრობლემათა მთელი კასკადი იყრის თავს და დაუყოვნებლივ მოგვარებას ითხოვს. არადა, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის სწავლება სკოლებში, ამ ჯერზე, ისევეა, როგორც მონღოლი მეომარი ცხენის გარეშე.

დამურ კუხალიაშვილი
ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი
ჩხოროის საჯარო სკოლა, ზუგდიდი

ოლიმპიადა

IYIPO – ნორჩ გამომგონებელთა ფორუმი ბანსხვაპეპული ბანყობა, არაორდინარული იდეები

მასა ყიფინი

25 აპრილს, სასტუმრომ „შერატონ მეტეხი პალასი“ ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა VII საერთაშორისო ოლიმპიადის (IYIPO) უმასპინძლა. საქართველოში IYIPO პირველად 2005 წელს ჩატარდა და საზოგადოების დიდი ინტერესი და მონონება დაიმსახურა. 2007 წლიდან ოლიმპიადამ საერთაშორისო მასშტაბები შეიძინა. მას შემდეგ, ყოველწლიურად, იზრდება ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების რიცხვი. წლებად ოლიმპიადამ 270 მოსწავლე 27 ქვეყნიდან 125 პროექტით მონაწილეობდა. პროექტები წარმოდგენილი იყო ექვს კატეგორიაში: მათემატიკა, ქიმია, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბიოლოგია, ინჟინერია და ფიზიკა.

IYIPO დაფუძნდა „ჩალარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ოლიმპიადის მიზანია: განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოჩენილი მოსწავლეების გამოვლენა, მათი დაინტერესება გამომგონებლო-

ბითი საქმიანობით; ნიჭიერ მოსწავლეთა მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ მეცნიერული იდეების პრაქტიკულად განხორციელება, საკუთარი ნაშრომის ახსნა-გადმოცემა; მოსწავლეებში საკუთარი თანატოლებისა და, ზოგადად, საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების გაცნობიერებისა და გადაჭრის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება; ყოფით ცხოვრებასა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროს შორის კავშირის ახსნა; მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ოლიმპიადა არა მარტო ხელს უწყობს ნორჩ გამომგონებლებს, წარმოაჩინოს თავიანთი შესაძლებლობები, არამედ აყალიბებს მეგობრულ ურთიერთობებს სხვადასხვა ქვეყნებს შორის.


VII საერთაშორისო ოლიმპიადის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „ჩალარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებები, საქართველოს ეროვნული ინტელექტუალური საკუთრების ცენტრი „საქპატენტი“, ევროკავშირის ევროკომისიის წარმომადგენლობა

საქართველოში, მედიასპონსორი – საზოგადოებრივი მაუწყებელი.

ოლიმპიადის საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა, რომელიც სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ მოსწავლეებმა შეასრულეს. სტუმრებისთვის ნაჩვენები იყო ვიდეოფილმი IYIPO-ს შესახებ. ოლიმპიადის ორგანიზატორები და მონაწილეები სტუმრებს მშობლიურ ენებზე მიესალმნენ.

ადემ ონალი, ჩალარის საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და შავი ზღვის საერთაშორისო საბჭოს თავმჯდომარე: „ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა ოლიმპიადის წელსაც წარმატებით ხორციელდება. სასიხარულოა, რომ ოლიმპიადის მასშტაბები ყოველწლიურად იზრდება. წელს 27 ქვეყანა მონაწილეობს: პაკისტანის, იემენის, ბულგარეთის, ზამბიის, გერმანიის, ავღანეთის, ერაყის, უკრაინის, ტანზანიისა და სხვა ქვეყნების მოსწავლეები. აღსანიშნავია, რომ ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადის ყოველწლიურად საზოგადოების დიდი ინტერესსა და მონონებას იმსახურებს. მისი ჩარჩოები სცდება მეცნიერებისა და განათლების სფეროს საზღვრებს. სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში ჩამოსული ახალგაზრდები ეცნობიან ქართულ კულტურას, ხელოვნებას, ტრადიციებს. სასიხარულოა, რომ მათ ქართველი მოსწავლეების ოჯახები მასპინძლობენ. ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, სტუმრები ტოვებენ საქართველოს, როგორც ამ ქვეყნის მეგობრები. ეს მეგობრობა მომავალშიც გრძელდება.“

ეკა სლოვინსკი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი: „მონაწილეებს ვულოცავ გამოჩენილ და საინტერესო ოლიმპიადის მონაწილეობას, წარმატებულ და ნაყოფიერ მუშაობას ვუსურვებ. ოლიმპიადის, განსხვავებული ხარისხით, განსხვავებული განწყობით, სრულიად არაორდინარული იდეებით გამოირჩევა. ეს ჩვენი მომავალია. სასიხარულოა, რომ ოლიმპიადის ხელს უწყობს სხვადასხვა ეროვნე-



ბის ახალგაზრდების დაახლოებას და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მრავალი წელია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გვერდში უდგას ოლიმპიადის. აღსანიშნავია, რომ წელს პირველად გაფორმდა მემორანდუმი, რაც დასტურია იმისა, რომ ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო მჭიდრო ხდება. სასიხარულოა ისიც, რომ ოლიმპიადის დაჯილდოების ცერემონიალის მასპინძელი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იქნება.“

ნებს, იყენებენ ტექნიკაში, საზღვაო და სამხედრო საქმეში) სტაბილიზატორი, რომელიც დიდი სიჩქარით მიმავალ ავტომობილს მოსახვევში ამობრუნებისაგან იცავს. ჩემი პროექტის მიზანია, შეიქმნას ავტომობილის სტაბილიზატორი, რომელიც გაზრდის მის მდგრადობას მოსახვევებში და გზის დამრეც მონაკვეთზე. ჩემი პროექტის ეფექტურობაში ასე პროცენტით ვარ დაწინაურებული.“

თიკო ორჯონიკიძე (მე-10 კლასი) და **ქრისტინე ხინთიბიძე** (მე-9 კლასი) ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის ლიცეუმის მოსწავლეები: „ჩვენ წარმოვადგინეთ ჰიბრიდულ-ენერგეტიკული ხელსაწყო, რომელიც გულისხმობს მზის და ქარის ენერჯის ერთდროულად გამოყენებას. მზის და ქარის ენერჯია გარდაიქმნება ელექტრულ ენერჯიად და თავსდება აკუმულატორში, ენერჯის საშუალებით გადასაცემს სიგნალს ვიდეოთვალს, საიდანაც ვიღებთ სიგნალს და ინფორმაციას კომპიუტერში. ეს ხელსაწყო, ძირითადად, გამოყენებადი იქნება სათვალთვალ და დაცვის სისტემებში, მაგალითად ალპინისტებისთვის მთებში, მიულენველ ადგილებში, სადაც არ გვაქვს მუდმივი ელექტროენერჯია. ამ ხელსაწყოს მთავარი მიზანია და ეფექტურობა ის არის, რომ მისი გამოყენება უკაბელოდ შეიძლება.“

ნიკა გიგინეიშვილი, თბილისის 192-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე: „ჩემს პროექტს ჰქვია „მომავლის სახლი“. მისი მიზანია, უზრუნველყოს სახლი მუდმივი ავტონომიური ენერჯის წყაროთი ისე, რომ არ იყოს დამოკიდებული ელექტროსადგურზე და გამოიმუშავედეს საკუთარ, ეკოლოგიურად სუფთა ელექტროენერჯას.



ოლიმპიადა

მოგეხსენებათ, მზის, წყლისა თუ ქარის ენერჯია ნათელ მომავალს გვპირდება. ეს რესურსები ამოუწურავია, ეკოლოგიურად სუფთაა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განილებული. საკმარისია ქარი ქროდეს, მზე ანათებდეს და ენერჯიის შესაკრებად შეგვიძლია სპეციალური მონყოილობა დავდგათ. ამისთვის არც ცენტრალური ელექტროფიკაცია იქნება საჭირო და არც იმპორტირებული ნავთობი. ნავთობზე, გაზზე, ელექტროობაზე ფასების მორიგი ზრდის შემდეგ, ბუნებრივია, ვინცებთ ფიქრს განათების, გათბობის ალტერნატიულ წყაროებზე. სწორედ ასეთი ალტერნატიული პროექტია ჩემი „მომავლის სახლი“.

აკაკი ცხვარიაშვილი, პატარძელის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის მე-8 კლასის მოსწავლე: „ჩემი პროექტი მოიცავს ანტიბაქტერიულ, გრიპის საწინააღმდეგო ბუნებრივ საშუალებებს. პროექტის მიზანია ბუნებრივი პროფილაქტიკური და ანტიბაქტერიული საშუალებების მომზადება, სურდოსა და გრიპის საწინააღმდეგოდ

გამოყენების მიზნით. პროექტის განხორციელება საშუალებას მოგვცემს, შეიქმნას საწარმოო ხაზი სპეციალური პროფილაქტიკური ხელსაწოდებისა და პირბადეების დასამზადებლად. მოგეხსენებათ, ჩვენი ფლორა მრავალფეროვნად მდიდარია მცენარეებით, რომლებიც ბუნებრივი პრეპარატების მისაღებად გამოიყენება. ჩვენ მიერ ბუნებრივი ანტიბაქტერიული პრეპარატების მისაღებად შერჩეულ იქნა მცენარე ავშანი (აბზინდა). ავშანი სარეველა მცენარეა. 100 გრამი ავშანი დაწვავით და ჩავასხით კოლბაში სამედიცინო სპირტთან ერთად, 24 საათის შემდეგ გავფილტრეთ და შევინახეთ მუქ ჭურჭელში. შემდეგ ექსტრაქტში დავასველეთ რესპირატორები/პირბადეები და ხელსაწოდები. მათი გამოყენება შესაძლებელია გაშრობის შემდეგ, რადგან ამ ანტიბაქტერიულ პროფილაქტიკურ საშუალებას შეუძლია გრიპის ვირუსის შეჩერება დაწყებით სტადიაში.“

თინათინ მაისურაძე და ნატა ასპანიძე, დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის მოსწავლეები:

„ჩვენ წარმოვადგინეთ პროექტი ჭიამაიების შესახებ. როგორც ვიცით, საქართველოში დიდი პრობლემაა შექმნილი პესტიციდების გამოყენებასთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, პესტიციდებს იმ მწერების შესაძღვრებენ, დიდი რაოდენობით, კულტურულ მცენარეებს. შხამ-ქიმიკატების გამოყენება ადამიანის ჯანმრთელობას დიდ საფრთხეს უქმნის. ამ პრობლემით დაინტერესდით და გადაწყვიტეთ, გამოსავალი გვეპოვნა. ჩვენი პედაგოგის დახმარებით შევიტყვეთ, რომ პესტიციდების ნაცვლად, მავნე მწერებთან საბრძოლველად თურმე შესაძლებელია ჭიამაიების გამოყენება. ამ მეთოდს ინდოეთში, ავსტრალიაში და სხვა ქვეყნებშიც მიმართავენ. აღსანიშნავია, რომ ბუგრები, რომლებიც დიდ საშიშროებას უქმნიან ვაზს, ჭიამაიების ბუნებრივ საკვებს წარმოადგენენ. თუ ჩვენ ხელოვნურად გავამრავლებთ ჭიამაიებს და შევიყვანთ ბაღებსა და ვენახებში, დიდი რაოდენობით მავნე მწერები განადგურდება, მაგალითად ბუგრები. აღსანიშნავია, რომ ჭიამაიების დიდი რაოდენობით გავრავლება არ გამოიწვევს ეკოსისტემის დარღვევას. სახელმწიფოს ვთავაზობთ, დაინტერესდეს ჩვენი პროექტით და სოფლის მეურნეობაში, შხამ-ქიმიკატების ნაცვლად, ასეთი უვნებელი, ბუნებრივი მეთოდი გამოიყენოს.“

გიორგი მურადოვი, ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ მოსწავლე: „ოლიმპიადისთვის მოვამზადე პროექტი – მაგნიტურ ბალიშზე მომუშავე პორტატული კვების წყარო, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ტურისტულ მოგზაურობაში, ორი თვის განმავლობაში, უწყვეტი ელექტროენერჯის წყარო გვქონდეს. ეს უნიკალური მონყოილობა შედგება გორგოლაჭისგან, ექვსი სუპერ მაგნიტისგან, ელექტროკოჭისგან და სხვ. ეს ჩემი პირველი გამოგონებაა, იმედი მაქვს, პროექტი მოწონებას დაიმსახურებს.“


ბექა გოგუაძე, ქობულეთის არასახელმწიფო საერო სკოლის „ფარნავაზი“ მოსწავლე: „ჩემი პროექტის მიზანი იყო, შემექმნა ისეთი თავდაცვითი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა ავტომობილის გათიშვას შორი მანძილიდან. ეს გამოგონება, ძირითადად, განკუთვნილია ტაქსის მძღოლებისთვის. მანქანის გატაცების შემთხვევაში, მძღოლს მისი ბლოკირება შეუძლია, მართვის სისტემაში დისტანციურად სპეციალური კოდირებული ნომრის შეყვანით და ავტომობილი გათიშება, ანუ მანქანაში მოთავსებულ მობილურ ტელეფონზე დარეკვისას, დაჯავშნილი ნომრის მეშვეობით, ხდება ავტომობილის ბლოკირება იმ დრომდე, სანამ მძღოლი ახალ კოდსარ შეიყვანს.“

27 აპრილს ნორჩ მეცნიერთა და გამოგონებელთა VII საერთაშორისო ოლიმპიადის გამარჯვებულები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დააჯილდოვეს. პირველი ადგილით და ოქროს მედლით დაჯილდოვდა 30 პროექტი, მეორე ადგილით და ვერცხლის მედლით – 35 პროექტი, მესამე ადგილით და ბრინჯაოს მედლით – 40 პროექტი. სხვადასხვა სფეროებში მომზადებული პროექტებიდან გამოვლენილი გამარჯვებულები განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ალუდა გოგლიჩიძემ**, ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილემ საქართველოში **ბორის იაროშევიჩმა**, საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა **ლევნთ მურათ ბურჰანმა** და „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების



სა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საბჭოს თავმჯდომარემ **ადემ ონალიმ** დააჯილდოვეს. **ალუდა გოგლიჩიძე**: „ეროვნული სასწავლო გეგმის მიღწევის ფარგლებში, ჩვენთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია უსუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება, მოსწავლეების მოტივირება, რათა ამ დისტანციებით უფრო მეტად დაინტერესდნენ, გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, მოახდინონ ინტელექტუალური რესურსის რეალიზება.“

ბორის იაროშევიჩი: „ევროკავშირი ყოველთვის მზარს უჭერდა ნორჩ მეცნიერთა და გამოგონებელთა ოლიმპიადას და ასეა დღესაც რადგან მიგვაჩნია, რომ კრეატიულობა და ინოვაცია უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდებისთვის. საქართველოსთვის მსგავსი მასშტაბის ოლიმპიადის ჩატარება ასევე მნიშვნელოვანია და ძალიან კარგია ქვეყნის პრესტიჟისთვის.“



სასკოლო ღონისძიება

საქველმოქმედო აქცია

ჩვეულებრივი დღეებისგან განსხვავებით, ასეთ დღეებში თავს ვალდებულნი ვართ, ვალდებულნი ვართ გავხადოთ, გავხადოთ, რომ ცოცხალი მანქანა შექმნილია ადამიანური ვალის აღსრულება - სიკეთის ქმნა, მადლის გაცემა, რომელიც, როგორც ილიამ ბრძანა, „ერთისგან გაცემა და მეორისგან მიღება“, იმ მადლისა, რომელიც ადამიანთა შორის ხშირად უნდა „დამოგზაურობდეს“, მაგრამ მიზეზთა გამო, იშვიათად ვართ ასეთი „მოგზაურობების“ მონაწილე.

10 აპრილი ასეთი დღე იყო თბილისის 96-ე და მე-200 სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის - მადლის დღე. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ №96 საჯარო სკოლის X¹ კლასის მოსწავლეს, **გარი ზადიაშვილს**, იდეა დაეებადა, დიდმარხვის დასასრულს მოენახულებინათ მზრუნველობამოკლებული ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე თანატოლები, სიტბო და სიყვარული მიეტანათ მათთვის. ეს სურვილი იმდენად გადამდები აღმოჩნდა, რომ მაშინვე გაიზიარეს

დამრიგებელმა, **სვეტლანა არუთიანოვამ** და გარის თანაკლასელებმა; სულ მალე, სურვილი მთელ სკოლას მოედო. იდეას მხარი დაუჭირა და მეტი რეზონანსი მისცა სკოლის დირექტორმა, **თამაზ დემეტრაშვილმა** და დაიწყო სამზადისი. სკოლის თითქმის ყველა მოსწავლე, დიდი თუ პატარა, გულმოდგინედ ემზადებოდა. ამ სამზადისს საოცარი ემოცია ახლდა. როგორც ამბობენ, ყველაზე ცელქები გამორჩეულად აქტიურობდნენ. აღსანიშნავია, რომ სკოლა რუსულია და მრავალეროვნაა. იმ დღეებში ის დიდ, „უკეთილსახლად“ გადაიქცა, სადაც თანატოლებთან შეხვედრის სურვილმა, რომლებსაც ეს ძალიან სჭირდებოდათ, გულგრილი არავინ დატოვა.



ბავშვებმა რუდუნებით შეაგროვეს წიგნები, სათამაშოები, ტანსაცმელი, ტკბილეული, ისინი ხომ უფროსებზე უკეთ ხვდებიან, რა გაახარებთ მათ თანატოლებს. 10 აპრილიც დადგა და გლდანის მე-200 სკოლისკენ დაირაზმნენ. ამ სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები სწავლობენ. მე-200 სკოლის დირექტორმა, **მარინე უჯმაჯურიძემ**, ბავშვები წინდანინ გააფრთხილა და ისინიც ელოდნენ მომავალ მეგობრებს. რომ დამეგობრდნენ, ეს შეხვედრისთანავე გაცხადდა. 96-ე სკოლებმა კონცერტი ჩაატარეს, თანატოლები დაასაჩუქრეს, ერთ-

მანეთში გულწრფელად ისაუბრეს. მეგობრობის დასაწყებად ასეთ ზეიმზე უკეთესი რა შეიძლება იყოს. ამბობენ, ბავშვებს უფროსებზე უკეთ გამოსდით ურთიერთობა. ეს იმ დღესაც ცხადი იყო. ურთიერთობა მართლაც გამოუვიდათ, თანაც გულწრფელი და არა ყალბი, თანაგრძნობით სავსე და არა სიბრაღულით, მად-

მანანა ცხადაია
პედაგოგი



მიეძღვნა ილია ვეკუას იუბილეს

24 აპრილს, გაკვეთილების შემდეგ, სსიპ აფხაზეთის №1 საჯარო სკოლაში (დირექტორი - ქალბატონი **ლუიზა შონია**) ორსაათიანი ვიქტორინა - გუნდური მათემატიკური ჭიდილი ჩატარდა, რომელიც ქართველი მათემატიკოსის, აკადემიკოს **ილია ნესტორის ძე ვეკუას** დაბადებიდან 106-ე წლის იუბილეს მიეძღვნა. მონაწილეობდნენ V-VII კლასების მოსწავლეები. თითო გუნდი 8 მოსწავლისგან შედგებოდა. პირველი გუნდის სახელწოდება იყო „კენტები“, ხოლო მეორისა - „ლუნები“. მოსწავლეებს 8 სხვადასხვა ტიპისა და ხარისხის ამოცანა/დავალება მიეცა.

მართა: გუნდმა „კენტები“ გამოიწვია მეორე გუნდის - „ლუნების“ წარმომადგენელი, რომელიც მომხსენებელი იყო, ოპონენტი კი - გამომწვევი გუნდის მონაწილე; ერთი და იმავე ამოცანაზე კამათი გაიმართა. უიუმრიმ წყვილების გამოსვლა სათანადოდ შეაფასა. 45-წუთიანი ასპარეზობის შემდეგ გამოცხადდა მუსიკალური პაუზა და მოსწავლეებს განტვირთვის საშუალება მიეცათ. გაიმარჯვა გუნდმა „კენტები“.

შეჯამების მიზნით, ყველა მონაწილემ შეავსო T სქემა (დრო - 5 წთ.) - **რა დაგეხმარათ ამოცანის ამოხსნაში: ცოდნა, განვლილი მასალის სისტემატური გამოკრება, ამოცანის პირობის ყურადღებით გაცნობა; - რა არის საჭირო დისკუსიის უკეთ წარმართვისათვის: მონდობა, ყურადღებით მოსმენა, გამარჯვების რწმენა, სწავლა და შრომა...**

ესწრებოდნენ მონაწილე მოსწავლეების მშობლები და მასწავლებლები. სტუმრები დეტალურად გაეცნენ ილია ვეკუას ბიოგრაფიას. ყველა ამოცანა 2 ქულით ფასდებოდა. უიუმრის წევრები იყვნენ: მათემატიკის კათედრის გამგე, კვალიფიციური და მონდომებული პედაგოგი, ქალბატონი **ჯულიეტა ჭანტურია**; მათემატიკის აქტიური მასწავლებლები: **ზიტა ჯიქია** და **ირა ლაგვილავა**, სკოლის დირექტორი, მათემატიკის პედაგოგი, ქალბატონი **ლუიზა შონია** და დირექტორის მოადგილე, ბატონი **ვაჟა შონია**.

სსიპ აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებლები ყოველგვარ ინოვაციას ფლობენ საგანთან დაკავშირებით, მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს (არა მხოლოდ თავიანთ სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებს, არამედ სხვა სკოლებში მომუშავე კოლეგებსაც) საკუთარ გამოცდილებას. ასეთი ღონისძიებების სისტემატურად ჩატარების მიზანია, სკოლის პედაგოგების მიერ გამოყენებული მათემატი-

კური მეთოდებისა და სტრატეგიების შედარება, აგრეთვე იმის დადგენა, თუ რომელი მეთოდი ან მიდგომა ოპტიმალური კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფისათვის. სკოლაში საუკეთესო საკლასო გამოცდილების, მათემატიკური მეთოდებისა და გეგმების ჩანერგვა/დაარქივება მიმდინარეობს. შესაბამისად, მათემატიკის კვალიფიციური მასწავლებლების მიერ შემუშავებული საუკეთესო გაკვეთილები და სტრატეგიები მემკვიდრეობად რჩება სკოლას. ზემოთ ხსენებული მათემატიკის პედაგოგები, სკოლის შიდა შეფასების სისტემის რეკომენდაციების საფუძველზე, ერთად გეგმავენ სასწავლო პროცესს, აკვირდებიან ერთმანეთს გაკვეთილებს, კრიტიკულ ანალიზს უკეთებენ ერთმანეთის პროფესიულ საქმიანობას. როგორც ცნობილია, პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობა მათემატიკის მასწავლებლებს (და არა მხოლოდ მათ, არამედ სხვა საგნების პედაგოგებსაც) რიგი მიზეზების გამო უჭირთ, ხოლო სკოლასა და საკლასო ოთახში ურთიერთთანამშრომლობით პროფესიული ზრდის საშუალება მათ მუდმივად აქვთ.

უაღრესად მნიშვნელოვანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და



ფორმების კვლევა, მეცნიერული ანალიზი, რაც პედაგოგებს შესასწავლი საგნის თანამედროვე მეთოდოლოგიური საფუძვლების დამუშავებისა და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საშუალებას მისცემს. მათემატიკა, როგორც ცნობილია, იერარქიული საგანია, რომელშიც ახალი იდეები და მეთოდები ვითარდება უკვე არსებულიდან. ეს კი, ზოგჯერ სიძველეს უქმნის მოსწავლეებს, რადგან მათემატიკის სწავლა/სწავლების ყოველ ეტაპზე მათ სჭირდებათ ადრე გავლილი მასალის გამოკრება. აღსანიშნავია, რომ ამ ვითარებაში დი-

დი მნიშვნელობა ენიჭება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკური საფუძვლების შესწავლას, რომელიც, როგორც მეცნიერული დისციპლინა, საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე მნიშვნელოვან პრობლემად იყო მიჩნეული და ცხადია, XXI საუკუნეშიც არ დაუკარგავს აქტუალობას. მათემატიკა იყო, არის და იქნება ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტის და საინჟინრო კვლევების ერთადერთი საშუალება.

ვიქტორია ცაგარეიშვილი



სახელმძღვანელო განმავითარებელი კითხვებით

XI კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო (გამომცემლობა „სწავლანი“) ვაჟა-ფშაველას ლექსებს – „ღამე მთაში“, „არაგვს“, „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“ წარმოგიდგინებს.

მითითებები: დაფიქრება, გაანალიზება, შეფასება მთავარი სათქმელის გამოკვეთას ემსახურება. შინაარსობრივად კითხვათა თანმიმდევრობა ადვილისა რთულისკენ მოსწავლეს საშუალებას აძლევს გაიაზროს მწერლის სიმბოლურ-ალეგორიული მეტყველება და ახსნას მოვლენის არსი. გაპიროვნების მაგალითების სიჭარბე შლის ზღვარს წარმოსახულსა და რეალობას შორის. ბუნების მოვლენათა მოძრაობა, დინამიურობა ექსოვება კაცთა ცხოვრებას და თანაბარი რიტმი ერთმანეთს უკავშირებს ბუნებასა და ყოფიერებას. მეტყველების აღმნიშვნელი ზმნა და მხატვრული ხერხი წარმოგიდგინებს ავტორის პოზიციას. ვარსკვლავები ყვავიან, მაგრამ ღამის მანათობელი არ ჩანს, შორსაა („ღამე

მთაში“). სიბნელე უტევს ბუნებასა და ადამიანსაც. სიბნელის მეფეობა ერთნაირად მოქმედებს სამყაროსა და კაცთა გონებაზე.

„მგზავს უჭირს ბნელით გამოსვლა, დადგომა სწორეს გზაზედა“. მოვლენის ნათელსაყოფად შეიძლება, გავიხსნოთ ვაჟას სიტყვები: „არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვლენა დავასახელოთ, რომ მისი მსგავსი ბუნებაში არ მოიპოვებოდეს“.

ბუნების წესრიგი კრებს მოვლენათა განსხვავებულ ხმებს, წარმოშობს ერთიანობის პრიციპს, რასაც მოკლებულია ადამიანთა ყოფა და ვაჟას სიტყვით, „მადლი შენ, ყველა ერთმანეთს უფალო, დაუმონია, ამაზე ტურფა და კარგი მე სხვა აღარა მგონია!“.

ლექსში „არაგვს“ საყრდენი სიტყვა ხსნის ტაეპის მნიშვნელობას. „რა ღამაზია, წყეულო, შენთ ზვირთთა ღალნი ჩქერანი“. სიყვარული, ახლობლობა, საერთოობა გამოითქვა მიმართვაში. სიყვარული იმისა, რომ ბუნება ღალაია, ეს თვისება თავისუფლებიდან მო-

დის. განსხვავებულ მოვლენათა ურთიერთკავშირის ძალით ბუნების თავისუფლება დაცულია. ბუნების აზრიანობა განაპირობებს დამოუკიდებლობას. თითოეული მოვლენა ინარჩუნებს თავისთავადობას, არსებით მახასიათებელს, რასაც ადამიანი, ხშირ შემთხვევაში, კარგავს წინააღმდეგობის დაძლევის უუნარობის გამო. ლექსის თემას სათაური განსაზღვრავს. მთისა და არაგვის ენერგია იზიდავს მწერალს და სიყვარული ანდერძში გადმოაქვს: „იმით კალთაზემც მოკვდები, მათ ღოღი გულსამც მდებია.“ ეს სტრიქონები ბუნებასთან თანაარსებობის გამოხატულებაა, მოუცილებელი შეგრძნებაა მისი სიდიადისა.

სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებს მოსწავლე მიჰყავს მთავარი აზრის გამოთქმამდე. „მაგრამ ფიქრობენ ვაჟანი სახვალთადაც ბრძოლასა!“

წარმომების შინაარსიან მთლიანობას აჯამებს კითხვა: „როგორმა სულისკვეთებამ

იჩინა თავი ლექსის ფინალში?“

„კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“ – აქ ყურადღება ექცევა ინტონაციურად ძლიერ სიტყვას – „კიდევაც“. ზამთრის უმოქმედობით, დუმილით, მის მიერ დაფარული სიმართლის გაცოცხლება გაზაფხულს შეუძლია. „კიდევაც“ მოასწავებს გამარჯვების გარდუვალობას. ტექსტის მნიშვნელოვანი პასაჟი მოცემულია კითხვაში: „თქვენი აზრით, რა კავშირი აქვს ერთმანეთთან „მკვდრეთით აღდგომას“ და ძალმომრეობისაგან გათავისუფლებას?“

კითხვის საშუალებით მოსწავლე ამთლიანებს ლექსს. ხსნის ურთიერთგანმსაზღვრელ მოტივებს და სხვადასხვა აზრობრივ კონტექსტში გამოყენებულ სიმბოლოთა მნიშვნელობას.

მანანა ავალიშვილი
ილია მართლის სახელობის საპატრიარქოს სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

და ყოველივე როგორ ნაზღაბა...

„...როცა ახლოა დრო შემოდგომის“ – ბრძანებს გალაქტიკის კანონების შემქმნელები ლმერთკაცი და ჩამავალი მზით გაჩაჩხახებული, ოქროცურვილში გახვეული გაჭაღარავებული ტყე-ველი წარმოგიდგება თვალწინ. გრძნობ, აქამდე როგორი დაუდევარი იყავი. თითქოს გეჩქარებოდა ამ ასაკამდე მოღწევა. არ ფიქრობდი წუთისოფლის წარმავლობაზე. სამყაროს მბრძანებლად მიგაჩნდა თავი. გეგონა, სამყაროს ცენტრი იყავი და შენ გარშემო ტრიალებდა ყოველი. იმედით სავსე მსუყე და ბარაქიანი შემოდგომის მოლოდინში უცებ აღმოაჩენ, რომ შემოდგომა კი არაა, ზამთარი მომდგარა კარს და გულს გწენკავს წარსულად ქცეული წლები, გაფლანგული დრო. ყველაფერი, რასაც ელტვოდი და ელოდი მო-

მავლისაგან, უკან რომ დარჩა, შენი სათქმელი ვერ თქვი და საკეთებელი ვერ გააკეთე, უფლის ნებისამებრ არ გაიხარჯე. ადამიანის ქვეყნად მოსვლის არსი ხომ შექმნა და სიყვარული, სიცოცხლე კი გამოცდაა იმის, თუ რამდენად ვართ ამ მისიის აღმსრულებელი.

ჩემს მშობლიურ ხოტევის სკოლასთან კარგა ხანია აღარ მქონია ურთიერთობა, ამასწინათ მომიხდა შეხვედრა და აღმოვაჩინე, ჩვენ რომ მარადიული გვეგონა, წარმავალი ყოფილა; მერე ქუჩაში ვემალი მასწავლებელი დავინახე. ჩვენ რომ ღმერთკაცად მიგვანჩნდა, ისიც წუთისოფლის ჩვეულებრივი მგზავრი ყოფილა, შემწანდა სიბერისა და წარმავლობისთვის. მომინდა წარსულში დაბრუნება და სანამ გვიან არ არის, მინდა მადლიერება გამოვ-

ხატო იმ ნათელი კვალისათვის, რაც ჩემში ამ სკოლამ და იქ მომუშავე პიროვნებებმა დატოვეს.

პედაგოგად ჩამოყალიბება შეუძლებელია, პედაგოგად უნდა დაიბადო. ცოდნის მიცემასა და უნარების გამოუმუშავებაზე დიდი რამ ადამიანად აღზრდაა. ვფიქრობ და ვერ გამიკვებია – ადამიანად ყოფნა ღვთიური ნიჭია, ზეპროვლესია, თუ ორივეს შერწყმა. ჩემი აზრით, ჯერ ადამიანი უნდა იყო და მერე სხვა ვინმე. რა ადვილი იქნებოდა მაშინ ცხოვრება! აღზრდაში მთავარი პირობა მაგალითია. მასწავლებელი მარტო ცოდნის მიმცემი კი არაა, კაცობის გზამკვლევიც. ის, ნებსით თუ უნებლიედ, იმ წუთის კანონების ტყვე ხდება, რომელსაც ასწავლის. ცხოვრების სადავეებიც ვეუბლი მღვრიე ტალღები კი თავისთვის მიგორავს!..

როდესაც სკოლაში წავიდი სამუშაოდ, ბევრს ვფიქრობდი, თუ რით დამემკვიდრებინა თავი. ხოტევის სკოლა კარგი მაგალითი იყო ჩემთვის. ეს იყო ტაძარი, სადაც არაჩვეულებრივი პიროვნებები მოღვაწეობდნენ, პირველ რიგში, ადამიანად ყოფნის ხიბლს გაგრძობინებდნენ, მერე კი ცოდნის კარიბჭეს შეგაღებინებდნენ, დროის სიმალლიდან უფრო მეტად იკვებება ის ინდივიდუალური თვისებები, რაც მათში გვიზიდავდა: **ტერენტი გურგენიძე** სულგრძელი და მომთმენი იყო, **აგრაფინა სირაძე** – შემართული, **მარიამ, ივდითი და ანგელინა კაციტაძეები** – თბილები და გულისხმიერები, **იოველ კობახიძე** – ამბის საინტერესოდ გადმოცემი, **ელენე თობაძე** – მეგობრული, **ვენერა ენუქიძე** – მკაცრი და სამართლიანი, **ლილი, ელენე და ვენერა გურგენიძეები** – სულშიჩანვდომები, ნაზები და ფაქიზები, **მიხეილ ჯმუხაძე** – დინჯი და აუღელვებელი, **ჯუმბერ და რამინ დონაძეები**... მაგრამ სულ სხვაგვარი მუხტის მატარებელი იყო **ჯემალ კობახიძე**. ის გაკვეთილზე ცეცხლად ენთებოდა, ინვოდა, ცოდნის ნაპერწკლებს აფრქვევდა, ჩირაღდნად ანთებული მიგვიძლოდა უცნობ სამყაროში და ჩვენც, ნედლ მასალას, გადმოგვცემდა გზნებას. ისეთი მომთხოვნი იყო, რომ ბავშვური ცულლუტობის შანსს არ გვიტოვებდა. ისეთნაირად იხარჯებოდა, უნებლიედ ემორჩილებოდა მის გზნებას... დრომ ბევრი რამ შეცვალა, მაგრამ კაცად ყოფნას და ცოდნის შექმნას, ვფიქრობ, ალტერნატივა არ გააჩნია.

ხოტევის სკოლა იყო საოცარი, იმ თაობის პედაგოგები, თუ საზო-



გადოების დამოკიდებულება სწავლისა და პედაგოგების მიმართ, ვერ გეტყვით, შეიძლება, ყველაფერი ერთად. ხოტევის სკოლის სამასწავლებლო დღესაც საკურთხევლად მიმაჩნია და მიჭირს იქ შებიჯება. **სონა ენუქიძე** რომ დაიქუხებდა, კედლები ზანზარებდა, მაგრამ ყველას დეიდა იყო.

დღეს დგას ხოტევის სკოლის შენობა ხოტევის ციხესავით გარდასულ დროთა მემატთანედ და სხვა ხალხის ისმის აქ... ჩამიჩუმი, რადგან დრომ მასაც დაჰკრა ტორები: საშუალო სკოლა საბაზოდ გადაკეთდა, უზარმაზარ შენობაში – ხელის თითებზე ჩამოსათვლელი ბავშვები. ყრიაშულის ნაცვლად, საყდრის მყუდროება მეფობს. ეს დღევანდე-

ლი მთის სოფლების საერთო სურათია. ვერ გავრკვევულვარ, დროის ტრაგედია თუ ცივილიზაციის მახასიათებელი დიდი გადასახლება?!

დრო კი მიჭრის. დაუნდობლად თელავს ყველაფერს. ყველაფერი ბერდება, მინაც კი. იცვლებიან ადამიანები. ხდება ღირებულებათა გადაფასება. მხოლოდ გარდასულ დღეთა მსოფლიო სევდაა უცვლელი: „რას ცუდად ვმალავოვობ, ოდეს ყველანი მოკვდავნი ვართ და მინად მიქცევადნი“. ამიტომ არ ღირს შურსა და ბოლმაში დროის გაფლანგვა, სიცოცხლე ხომ ძალიან, ძალიან ხანმოკლეა.

ეკატერინე
ჭიჭინაძე-გომგასაძე



სასკოლო ღონისძიება

„მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“

კეთილმეზობლური და კეთილმეგობრული ურთიერთობები აკავშირებს ერთმანეთთან თბილისის №54 საჯარო სკოლისა და თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სინოპის პედაგოგიური სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეებს. ჩვენს სკოლაში, 1977 წლიდან, ერთ-ერთ უცხო ენად თურქული ენა ისწავლება. სკოლაში, მრავალი წელია, სხვადასხვა

ღონისძიებებით აღინიშნება თურქი ხალხისათვის მნიშვნელოვანი თარიღი, ბავშვთა დღე – 23 აპრილი, რომელიც 90 წლის წინ თურქეთის პირველი პრეზიდენტის, მუსტაფა ქემალ ათათურქის ინიციატივით დაარსდა.

ეს დღე წელსაც საინტერესო საზეიმო ღონისძიებით აღინიშნა სკოლაში – გამოიფინა მოსწავლე-

თა მიერ თურქულ და ქართულ თემებზე შექმნილი ფერწერული, გრაფიკული ნახატები, თეატრული ნამუშევრები და ალბომები ორი ქვეყნის მოსწავლეების მრავალწლიანი ურთიერთობის ამსახველი ჩანაწერებითა და ფოტოებით, თურქეთის რესპუბლიკის პრესაში ორი ქვეყნის მოსწავლეების მეგობრობაზე გამოქვეყნებული მასალები.

სასკოლო ღონისძიებას ეწვია თურქეთის ელჩი საქართველოში, ბატონი **ლევენტ მურათ ბურჰანი**, თბილისის იუნუს ემრეს სახელობის თურქული კულტურის ცენტრის დირექტორი, ბატონი **ბარის დემირი**, ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე, ბატონი **დემირხან ლოტოზი** და საელჩოს თანამშრომლები.

ღონისძიების საზეიმო ნაწილი გახსნა სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ცისო წერეთელმა**. ღონისძიება თავიანთი შემოქმედებით დაამშვენეს მოსწავლეებმა: **გულშენ კილიჩმა, თამარ ოზაშვილმა, სოფო მეზურნიშვილმა, სოფო ფარულავამ, საბა ელიზბარაშვილმა, ვაჟა ოქიტაშვილმა, ზაზა შარუმაშვილმა**, სკოლასთან არსებულმა ქართული ცეკვის ანსამბლმა „კენარმა“. ზეიმს თურქულ ენაზე უძღვებოდა მოსწავლე **ალ მერიემი**, ქართულ ენაზე – **მერი ცერცვაძე** და **თათული ნატროშვილი**.

დასასრულს, დამსწრეთ სიტყვით მიმართა თურქეთის ელჩმა, ბატონმა **ლევენტ მურათ ბურჰანმა**. მან დიდი მადლიერება გამოხატა სკოლის დირექტორის, ქალბატონ **ცისო წერეთლის**, თურქული ენის მასწავლებლების – **მაკა კიკნაველიძის** და **ელისო ჭონქაძის**, ასევე პედაგოგების **ანა გოგოლაშვილის**, **ნანა მუხაშვილის**, **სოფო კვიციანიშვილისა** და ქორეოგრაფ **ნინო რამიშვილის** მისამართით. ბატონმა ელჩმა კონცერ-



ტის მონაწილე ყველა მოსწავლეს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. სის იუნუს ემრეს ინსტიტუტის ვებგვერდზე.

ღონისძიებას მალაღი შეფასება მისცეს სტუმრებმა და აღნიშნეს, რომ ამ დღის ამსახველი ვიდეომასალა განთავსდება თბილისის იუნუს ემრეს ინსტიტუტის ვებგვერდზე.

თამარ ძრისქესიაშვილი
თბილისის №54 საჯარო სკოლის მასწავლებელი

გაკვეთილი ჯეოკლასში



2013 წლის 22 აპრილს, ახალციხის №5 საჯარო სკოლის XI კლასში, ჯეოკლასში ჩაატარა საჩვენებელი გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში (პედაგოგები – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **თეა ზაზაშვილი** და ჯეოკლასის პედაგოგი **მარინა კარაკაშვილი**).

მოგესვენებათ, რომ დღევანდელი განათლების სისტემა სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნიკის დანერგვასა და გამოყენებას ითვალისწინებს. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი თანამედროვე ტექნიკით. ჩვენთან, სკოლაში, ფუნქციონირებს ჯეოკლასი, რომელიც ერთ სისტემაში 12 კომპიუტერია ჩართული, რაც საშუალებას გვაძლევს ვაკონტროლოთ თითოეული მოსწავლის მუშაობა და სასწავლო პროცესში ჩართულობა.

გაკვეთილის თემა იყო ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „ოთარანთ ქერივი“. გაკვეთილის მიზანი – მოსწავლეებს გამოეკვეთათ ნაწარმოების მთავარი პრობლემა, გაეანალიზებინათ და დაეკავშირებინათ თანამედროვე ეპოქასთან. კომპიუტერებში ჩატვირთული იყო წინასწარ

შედგენილი სავარჯიშოები, რაზეც უნდა ემუშავათ. სავარჯიშოები იყო როგორც ტესტური, ასევე სქემისა და ცხრილის სახით.

გაკვეთილი საინტერესოდ წარიმართა. მოსწავლეები მოტივირებული იყვნენ, ადვილად ართმევდნენ თავს კომპიუტერში ჩატვირთულ დავალებებს, გამოთქვამდნენ თავიანთი მოსაზრებებს თემის ირგვლივ, ავლენდნენ პარალელებს ილიას ეპოქასა და თანამედროვეობას შორის. თვითონ წარმართავდნენ ტექნიკურ მხარეს. მათ, ასევე, შეაფასეს და გამოთქვეს მოსაზრება აღნიშნული გაკვეთილის შესახებ, რამდენად მოეწონათ გაკვეთილის წარმართვა კომპიუტერის მაქსიმალურად გამოყენებით.

გაკვეთილს ესწრებოდნენ სკოლის დირექტორი და მასწავლებლები. მათ აღნიშნეს, რომ ასეთი ტიპის გაკვეთილები ამაღლებს სწავლის მოტივაციას ბავშვებში, რაც სტიმულს აძლევს მათ, სასწავლო პროცესი საინტერესო გახადონ და აქტიურად ჩაერთონ მასში.

თეა ზაზაშვილი
ახალციხის №5 საჯარო სკოლის პედაგოგი

თანადგომა

აღსანიშნავია ჩვენი სკოლის მოსწავლეების აქტიურობა კლასგარეშე ღონისძიებების ჩატარებაში. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრასთან ერთად მათ აღნიშნეს ქართული ენის კვირეული სხვადასხვა სახის ღონისძიებებით, მათ შორის თემში გასვლითაც.

კეთილი საქმის კეთება, გაჭირვებულის დახმარება და ნუგეშიც არ ავიწყდებათ, მათ არაერთხელ ჩაატარეს საქველმოქმედო კონცერტები და შემოსული თანხით საშობაო საჩუქრები მიართვეს იძულებით გადაადგილებულ პირებს, იბოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს თელავის სახლში. ამავე სახლის ბავშვები მოიწვიეს სკოლაში.

ამჟამად, VIII კლასის მოსწავლეებმა: **ფაქიზა ყურბანოვამ, ხათუნა ალიევამ, საინა შამილოვამ, ნათიქ მუსაევამ** აიღეს ინიციატივა მიელოდისპლაზიური სინდ-

რომით დაავადებული რვა წლის **თენგო ზატიკაშვილის** დასახმარებლად. აღნიშნული დაავადების შესახებ ინფორმაცია ინტერნეტით მოიძიეს, ეწვივნენ ექიმებს სოფლის ამბულატორიაში, გაერკვნენ აღნიშნული დაავადების სიმძიმეში და გადაწყვიტეს, თავიანთი წვლილი შეეტანათ პატარა თენგოს განკურნებაში. საქმის კურსში ჩააყენეს პარალელური კლასის მოსწავლეებმაც და თენგოს ანგარიშზე ჩარიცხეს 230 ლარი, რითიც მეგობრობა და თანადგომა გამოხატეს. თენგო ზატიკაშვილს მხნეობას და გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ.

ნინო ბუჭიშავილი
თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელი



სასკოლო ღონისძიება

210-ე სკოლის ქრონიკა

ქართული სულის ზეობა – ასე შეაფასა დამსწრე საზოგადოებამ 2013 წლის 10 აპრილს თბილისის 210-ე საჯარო სკოლაში ჩატარებული საქველმოქმედო საღამო, რომლის მიზანი იყო მცირედი შემოწირულობით დიდგორის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის აღდგენაში წვლილის შეტანა.



ლონისძიებაში აქტიურად ჩაერთვნენ სკოლის მოსწავლეები და დამსწრე საზოგადოებას მოკლედ გააცნეს სოფლის ისტორია ფარნავაზ მეფედან დღემდე, ამავე სოფელში მდებარე ტაძრებისა და ნიშების ისტორია, ისაუბრეს სოფელ დილოში მცხოვრებ გამოჩენილ ადამიანებზე, რომელთაც შორს გაუტყვეს სახელი სოფელს. საღამოზე მოსწავლეებმა შეასრულეს მუსიკალური ნომრები, წაიკითხეს როგორც ქართველ პოეტთა, ასევე საკუთარი ლექსები.

კონცერტი გახსნა კავთის წმინდა გიორგის მაგლობელთა გუნდმა. კონცერტში მონაწილეობდა სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „სინათლე“, რომლის ხელმძღვანელია **მიხეილ მამუჩაშვილი**. საღამოს ესწრებოდნენ: **მამა გიორგი ნამგალაური**, სკოლის პედაგოგები და მოსწავლეთა მშობლები. სკოლის დირექტორმა, ბატონმა **ნუგზარ მოლაშვილმა** სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა მონაწილეებსა და ორგანიზატორებს – **ლელა ლასურაშვილს** და **ეკატერინე მძევაშვილს**. საღამო დალოცა მამა გიორგიმ.

მინაწერი: სანამ ამ წერილს დასაბუთებდით, სკოლაში კიდევ რამდენიმე საინტერესო რამ მოხდა: 15-ში „დედაენის“ დღისადმი მიძღვნილი წერა „ვწერ თავისუფალ თემას“ ჩატარდა, 23-ში კი – ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილი კონკურსი „ქართული სამყარო“.

მარიკა ბენიძე

დედამის დღე



2013 წლის 22 აპრილს თბილისის N190 საჯარო სკოლაში გაიმართა ახლად დანიშნული სკოლის დირექტორის, ქალბატონ **მაია გიორგაძის** შეხვედრა მოსწავლეთა მშობლებთან, ლოტკინის დასახლების ბიბლიოთეკისა და პოლიციის თანამშრომლებთან.

შეხვედრა დაემთხვა „დედამისის დღეს“. დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური ღონისძიება, სადაც გამოვლინდა მათი თეატრალური ფანტაზიები.

სიმბოლურია ისიც, რომ გულთბილ ვითარებაში მიმდინარე შეხვედრის შემდეგ, სტუმარ-მასპინძლებმა სხვადასხვა მცენარეთა ნერგების დარგვით, საფუძველი ჩაუყარეს კეთილგანწყობილ ურთიერთობებს, რადგან ადგილობრივი თემის სოციალური და კულ-

ტურული ყოფის ფაქტორი მეტად მნიშვნელოვანია ისეთი დანესტრუქტურებისთვის, როგორცაა სკოლა, ბიბლიოთეკა და პოლიცია.

სკოლის შემოგარენს მოსწავლეთა ურთიერთობების განვითარების მიზნით ჩაერთვნენ ღონისძიებაში, შეივსეს არც მშობლები ჩამორჩენენ. სულ მალე, მათ მიერ დარგული ნერგი იხარებს და სკოლის ეზოს სეივანი დაამშვენებს.

უნმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეც ხომ ამისკენ მოგვიწოდებს: თითოეულმა ადამიანმა თითო ნერგი ვახაროთ ჩვენს სახელზე, რათა მუდამ იზრიალოს ჯიჟილა და ტყემ, საქართველოს მზემ კი სულ იგიზვიოს.

ნინო საყვარელიძე



გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში

სკოლა, ოჯახი, საზოგადოება – ეს ის სამკუთხედი, სადაც პიროვნების ფორმირება ხდება. ბავშვისთვის აუცილებელია ბედნიერი, მოსიყვარულე ოჯახი და სკოლა, სადაც პროფესიონალი და მზრუნველი პედაგოგები მუშაობენ.

სწორედ ასეთი მასწავლებლები მოღვაწეობენ სკოლა-ლიცეუმში „ცოდნა-ნათელა მურადაშვილი“ (დირექტორი – **ნათელა მურადაშვილი**), სადაც მართლაც ოჯახური

გარემოა შექმნილი. ერთ-ერთი მათგანია მუსიკის პედაგოგი **მედეა ბექაური**, რომელიც თავისი საქმიანობით თითქოს ეხმარება ვოლტერის ნათქვამს: „ადამიანის გონებას თეატრალურ სანახაობაზე უფრო კეთილშობილი და სასარგებლო არაფერი გამოუგონია, როგორც სრულქმნისათვის, ისე ზნეობათა განსაზღვრებად“ და მრავალი საინტერესო ღონისძიების თუ ინიციატივის ავტორად

გვევლინება. მისი ხელმძღვანელობით მოსწავლეები არაერთ კონკურსსა თუ ოლიმპიადაში აღწევენ წარმატებებს.

„გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში“ – ასე ერქვა ამჯერად ქალბატონ მედეას მიერ ჩატარებულ საღამოს. დარბაზი გაზაფხულის სურნელით იყო გაჟღერებული. იებით და ენძვლებით იყო სავსე იქაურობა. ბავშვებიც სხვადასხვა ყვავილების ფერებში იყვნენ გამოწყობილი... სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა მუსიკალური ნომრები, ლიტერატურული ნაწარმოებების ინსცენირებები და ლექსები.

საღამო საინტერესოდ მიჰყავდათ X-XI კლასების მოსწავლეებს: **მარიამ ბინაძეს**, **მარიამ ქავთარაძეს**, **თიკო გოგოლაძეს** და **გვანცა ქავთარაძეს**.

მოსწავლეები – **სალომე ქოთუაშვილი**, **ნანა ბაბაიძე**, **დავით გადილია**, **გიორგი მურღულია**, **მარიამ ჩიტაშვილი** და **ნიკა გოგიაშვილი** ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ მხატვრულ კითხვაში. მსმენელს დიდხანს ემახსოვრება **მარიამ ხორბალაძის** მიერ წაკითხული ლექსები.

გულშიამწვდომად მღეროდნენ: **ლუკა გოგიაშვილი** და **თათა დადიანიძე**, ანი მურღულია და **მარიამ ხორბალაძე**, **ნათია ქაშაძე**, **მადონა სო-**



ლომნიშვილი და **მარიამ კვიციანიშვილი**. მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა **ლუკა გოგიაშვილის** და **მარიამ ხორბალაძის**, **ნინო ხინჩაგაშვილის** და **დავით გადილიას**, **სოფო ყულიაშვილის** და **თორნიკე მუქერიას**, **ანი ჯიქიას** და **ოთარ თეთვასის**, **მარიამ ქონიაშვილის** მიერ წარმოდგენილი ინსცენირებები.

მოსწავლე და პედაგოგი, მშობელი თუ მოწვეული სტუმარი.

ღონისძიების ბოლოს დირექტორმა, ქალბატონმა **ნათელა მურადაშვილმა** მადლობა გადაუხადა ქალბატონ მედეას და მოსწავლეებს ასეთი მასშტაბური, საინტერესო და ლამაზი სანახაობის წარმოდგენისათვის.

დამსწრე საზოგადოებას დიდხანს გაჰყვება ამ დღეს მიღებული შთაბეჭდილება.

ლია კვიციანიშვილი დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

სპორტი

ფუტზალში თსუ უძლიერესი

ფუტზალში საუნივერსიტეტო ლიგის წლებიდან გამარჯვებული თსუ-ს გუნდი გახდა. ამ ტურნირის შესახებ ჩვენი გაზეთიც წერდა. მისი ორგანიზატორია საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია, რომელსაც ფინანსურ თუ საორგანიზაციო ხასიათის დახმარებას გენერალური სპონსორი კომპანია „ბილანი“ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო უწევდნენ.

ტურნირმა, რომელიც 30 უმაღლესი სასწავლებლის გუნდი ჩაება, სტარტი თებერვალში აიღო. ორი თვის განმავლობაში გაიმართა წინასწარი შეხვედრები, გამოვლინდა 16 საუკეთესო გუნდი, რომლებმაც უკვე პლეი ოფის პრინციპით გააგრძელეს ასპარეზობა. ნახევარფინალში თამაშის უფლება სტუ-სეუ-მ და თსუ-აგარაულმა მოიპოვეს, რომლებიც ასევე დაწყებულან.

დასკვნით ეტაპს სპორტკომპლექსმა „არენამ“ უმასპინძლა, განსაკუთრებით დაძაბული პირველი ნახევარფინალი აღმოჩნდა. მისი ძირითადი დრო ფრედ დასრულდა - 2:2 და გამარჯვებული პენალტების სერიამ გამოავლინა. ამ საფეხურით ლატარეაში სეუ-ს სტუ-დენტებმა 5:4 იმარჯვეს. მეორე ნახევარში თსუ-მ გაცილებით იოლად მოიპოვა გამარჯვება - 2:0. ფინალსაც „არენამ“ უმასპინძლა და კვლავ

ვაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა იოლი მოგებით დასრულდა. 3:0 - ასე გაიმარჯვეს მათ, რაშიც ლომის წილი **ზურაბ გარსევანიშვილმა** შეიტანა დუბლით, ერთი გოლი კი **თევდორე მაყაშვილის** ანგარიშზეა.

მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლები სტუ-მ მოიპოვა. მათ აგარაული უნივერსიტეტის გუნდი დიდი ანგარიშით - 8:5 დამარცხეს. დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ: საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი **ლექსო გუგავა**, სპორტის მინისტრი **ლევან ყიფიანი**, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **გრიგოლ ცაავა** და სხვა სტუმრები.

აღბათ, თსუ-ს ფუტზალის გუნდის გამარჯვება ლოგიკურიცაა ამ უნივერსიტეტის ტრადიციების ფონზე - 2006 წელს ჩამოყალიბდა და გვარიანი წარმატებებიც მოიპოვა: 2011 წლის თბილისის ლია პირველობის გამარჯვებულია, 2010-2011 წლებში საქართველოს ჩემპიონატში მესამეზე გავიდა და თასის ფინალშიც ითამაშა, იმავე წლებში მოიგო თურქეთის საერთაშორისო ტურნირი ყარსში, 2011 წელს კი ფუტზალის უნივერსიადაზე მეორე იყო. შემთხვევითი არაა, რომ მათი 7 მოთამაშე საქართველოს ნაკრებშია მინვეული.



მოკრივეთა პროგრესი



ახალქალაქმა წარმატებით უმასპინძლა საქართველოს ჩემპიონატს ჭაბუკ მოკრივეთა შორის, რომელმაც რუსულ კემპროვში ევროპის პირველობაზე წასვლის კანდიდატები გამოავლინა. შეჯიბრება 13 წონით კატეგორიაში ჩატარდა 140-მდე მონაწილის პაექრობით, ქვეყნის 16 რაიონიდან. მისასალმებელია კრივის გეოგრაფიის ასეთი ზრდა, მაგრამ კიდევ უფრო გასახარია ტურნირის ამკარად მალაღობი დონე - ეს ყველაფერი სპორტის ამ სახეობის აღმავლობაზე მიუთითებს.

ჩემპიონატში რამდენიმე საინტერესო ამბავიც მოხდა. უპირველესად, გამოვარჩევთ ცნობილი მოკრივის, მსოფლიოს ჩემპიონ **გიორგი კანდელაკის** უფროსი შვილის - **თარამ კანდელაკის** დამაჯერებელ გამოსვლას 60 კილოგრამში, სადაც ფინალში თანაქალაქელი, ანუ გორელი **გიორგი დოლიაშვილი** დაჯაბნა და პირველობა არავის დაუთმო. კარგი ასპარეზობით საყოველთაო მონონება დაიმსახურა ეროვნებით ჩეჩენმა **ესკერხან მაღიევმა** (57), რომლის მშობლებმაც სამი წლის წინ მი-

იღეს საქართველოს მოქალაქეობა. ტექნიკური, კარგი პაექრობით გამოირჩეოდა ქუთაისელი **გიორგი ხარაბაძე** (66), რომელმაც ფინალში მოსწავლეთა შორის ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორი **ჟორა სეროპიანი** (ახალქალაქი) პირველადვე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა. კარგად გამოვიდა მოსწავლეთა შორის ასევე ევროპის შარშანდელი ბრინჯაოს მედალოსანი, ფოთელი **გიორგი მანჯავიძე** (48), აგრეთვე - მისი თანაქალაქელი **გიორგი ჩარგაზია** (46). სხვა წონით კატეგორიებში გამარჯვებს: გორელმა **მიხეილ გაზინაშვილმა** (50), ჭიათურელმა **ვალერი ბოტკოველმა** (52), ერედველმა **ჯოტო თავოშვილმა** (54), თბილისელებმა - **სტეფანე მხითარაიანმა** (63), **ბექა ვახანიამ** (70) და **იაგო გედენიძემ** (80), გორელმა **რატი ტლაშაძემ** (75) და გარდაბნელმა **ზურაბ გიორგობიანმა** (+85).

ამ ჩემპიონატის მიხედვით დაკომპლექტდა გუნდი, რომელიც 10-14 მაისს ბაქოს საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს.



ოთხთა ტურნირის მესამე

საქართველოს 19-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებმა არც ისე წარმატებით იასპარეზა პორტუგალიის ოთხთა ტურნირში, თუმცა კარის გაჯახუნება მაინც მოახერხა - ბოლო შეხვედრაში რუს თანატოლებს 1:0 მოუგო და მესამე ადგილზე გავიდა. გამარჯვების გოლი, 51-ე წუთზე, **ბაჩანა არაბულმა** პენალტის ნიშნულიდან გაიტანა, მსაჯმა ამგვარად მეტოქე საჯარიმოში ბურთზე ხელით თამაშისთვის დასაჯა. შეხვედრაში ჩვენები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა მეტი გოლის გატანა ვერ მოახერხეს.

ოთხთა ტურნირში, ამ გუნდების გარდა, პორტუგალიისა და სერბეთის ნაკრებებიც მონაწილეობდნენ. ჩვენებმა პირველი შეხვედრა მასპინძლებთან წააგეს - 0:2, სერბებთან კი 1:2 დამარცხდნენ იმის მიუხედავად, რომ თავიდან დაწინაურდნენ. აღსანიშნავია, რომ პორტუგალიელებთან შეხვედრაში ჩვენი ბიჭები სამჯერ დარჩნენ მეკარესთან პირისპირ, მაგრამ შანსი ვერც ერთხელ ვერ გამოიყენეს. ამ მოგებით სერბებმა რევანში აიღეს ჩვენებთან შარშან, ამავე შეჯიბრებაზე, ზუსტად იმავე ანგარიშით მარცხისთვის. მაშინ ოთხთა ტურნირში, რუსების ნაცვლად, ფრანგები მონაწილეობდნენ, რომლებსაც ჩვენებმა 3:0 სძლიეს, მათ სერბებიც მიაყოლეს და მხოლოდ მასპინძლებთან წააგეს, როგორც - ნლეულს.





ნიენის
თარო

მიმდინარეობს

ხელმოწერა



კლასიკური შოუზია



სამი
ტომის
ფასი
15 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი
ცალის
ფასი
6.5 ლარი

1. ცისფერი ბაღვინები - დეზა
2. ჰორაციუსის ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყობსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლუმ-გაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რაინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლავი შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საპვირაო ბასეირნება, ბრან-შატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

თემატური კლასიკები
დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პრეფიქსები
9. რიცხვები
10. სილ-პოსტნული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საძარტველო

ერთი
ცალის
ფასი
2.5 ლარი

თემატური
კლასიკები მატალი
კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძარტველოში
3. გარეული ცხოველები საძარტველოში
4. მწერები
5. ძართული ხალხური საკრებები
6. ძველარაგვლები საძარტველოში
7. საძარტველო მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიდაბი - სიტუაციის წყარო
11. ქველი რეზი
12. მსოფლიოს დროები
13. ზღვის დინებები
14. ძიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ძართული მემორის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი სოცრება

ერთი
ცალის
ფასი
3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

- | | | |
|--------------------------|-----------------------------|------------------------|
| 1. მიხეილ ჯავახიშვილი | 10. იოსებ გრიგაშვილი | 19. აკაკი წერეთელი |
| 2. გიორგი ლეონიძე | 11. პულიკარე კაკაბაძე | 20. რუსთაველი |
| 3. ირაკლი აბაშიძე | 12. გურამ რჩეულიშვილი | 21. თეიმურაზ I |
| 4. ნოდარ დუმბაძე | 13. იაკობ ხუცესი | 22. ვახტანგ VI |
| 5. მირზა გაელოვანი | 14. იონა საბანიძე | 23. გიორგი მერჩული |
| 6. აკაკი ბაძრაძე | 15. დავით გურამიშვილი | 24. გრიგოლ ორბელიანი |
| 7. ვასილ ბარნოვი | 16. პესიკი | 25. დავით აღმაშენებელი |
| 8. პაულუ იაშვილი | 17. რევაზ ინანიშვილი | 26. გურამ ასათიანი |
| 9. სულხან-საბა ორბელიანი | 18. ალექსანდრე შავჭავჭავაძე | 27. გრიგოლ როგაძიძე |

ერთი
ცალის
ფასი
4 ლარი

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

თითო ტომის ფასი - 12 ლარი



„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- მარბარეტ დიურასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან **ახალი**
- ალბერ კოენი - დედაჩემი **ახალი**
- ჯონ გოლდსმითი - რჩეული მოთხრობები **ახალი**
- პროსპერ მერიმე - ილევი ვენერა **ახალი**
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურკველი
- ჯონ ბრაუნინი - გზა ელიტისაკენ
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დინასტიის
- გუსტავ ფლობერი - მაღამ გოგარი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო

- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ქალთა გედნობა
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდიერ ჰაბარდი - მონტენუპას ასული
- სტენდალი - წითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - სამი მგობარი
- შოლერლო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტიფან ცვიბიგი - მოუთმენლობა გულისა
- მაინ რიდი - კვარტაონი
- ვილჰელმ ჰაუფი - ლისტენშტაინი
- თეოდორ დრაიზერი - დიკო კერი
- ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები



კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი თამაზ ვასაძე

~~11~~ ლარი
9 ლარი




„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

თამარ ბეროზაშვილი


10 ლარი

გამოცემლობა „ლიოგენსა“ და გაზეთ „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

~~45~~ 35 ლარი




საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია

~~30~~ 26 ლარი




ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია

~~40~~ 30 ლარი




ილია ჭავჭავაძე, ორტომიანი

16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი

5.70 ლარი



„რა არის რა“ 50-ტომიანი ერთი ტომის ფასი ნახევრად 11 ლარისა 9 ლარი

- ❖ მსოფლიოს 7 საოცრება
- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამომგონებები
- ❖ ბანკის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები

- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბარძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უკველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩამირული ძალბაძები
- ❖ ძიშია
- ❖ მკობრები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომიანი), I-V ტომი, - 11 ლარი
 - ❖ მინაილ ჯავახიშვილი (7-ტომიანი), I-VII ტომი - 11 ლარი
 - ❖ ლევან გომთუზ (7-ტომიანი), I-II ტომი - 16 ლარი
 - ❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომიანი), I-II ტომი - 15 ლარი
 - ❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომიანი), I, VI, VII, VIII ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
 - ❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
 - ❖ ვახტანგ ჭიჭინაძე (9-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
 - ❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომიანი), I-V ტომი - 12 ლარი
 - ❖ ოტია იოსელიანი (10-ტომიანი), I-X ტომი - 12 ლარი
 - ❖ თამაზ ჭიჭინაძე (6-ტომიანი), I-VI ტომი - 10 ლარი
 - ❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომიანი), I-V ტომი - 13 ლარი
- მიტითაგულია თითო ტომის ფასი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბაღაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge

E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >